საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ანატორის ჯვარი

ანატორის ჯვარი, ღვთაება პირიქითა ხევსურეთში, რ-ის საკულტო ცენტრი სოფ. შატილში (დუშეთის მუნიციპ.) იყო.

ა. ჯ. ითვლებოდა ამ თემის მოსახლეობის საერთო სალოცავად. შატილის უძველესი მკვიდრნი, ანატორელნი, ა. ჯ-ის უნჯი (ძირითადი) ყმები იყვნენ. მათგან ირჩეოდა ამ ღვთაების კულტის მთავარი მსახური, ჯვრის გამძღოლი – ხუცესი. გარდა საკუთარი საყმოს მფარველობისა, ა. ჯ-ს მიეწერებოდა მონადირეთა და „წმინდა ნადირის“ (ჯიხვი, არჩვი, შველი, ირემი) დაცვის ფუნქცია.

ა. ჯ-ს ქისტებიც ეყმობოდნენ. მათი სამლოცველო სოფ. ჯარეგოში მდებარეობდა და „ოჩი დაალი“ ერქვა. სამეცნ. ლიტ-რაში გამოთქმულია მოსაზრება ა. ჯ-ის, მეგრ. „ჟინი ანთარისა“ და აფხ. „აითარის“ ნათესაობის შესახებ.

ლიტ.: ა ბ ა კ ე ლ ი ა ნ., ცის თაყვანისცემა დასავლეთ საქართველოში, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1983, № 2; ო ჩ ი ა უ რ ი თ., მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967; ტ უ ღ უ შ ი ა., ერთი ქართული წარმართული ღვთაების სახელის გამო, «ცისკარი», 1988, № 2; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 1, თბ., 1979 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ.1).

თ. ოჩიაური